ლეილა ქველიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
Leila.kvelidze@atsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2023.08.83

არაბული (ანდალუსიური) ლიტერატურის განვითარების ეტაპები ესპანეთში

შუა საუკუნეების არაბული ლიტერატურის განვითარებაში მნიშვნელოვანია არაბული ესპანეთის როლი. არაბები ესპანეთში მოვიდნენ VIII საუკუნის მეორე ათწლეულში. ჩრდილოეთ აფრიკელი ბერბერული ტომების მხარდაჭერით. სამი წლის განმავლობაში (711-714 წ.) იბერიის ნახევარკუნძულის უმეტესი ნაწილი დაიპყრეს. მერვე საუკუნიდან მოყოლებული ესპანეთი, რომელსაც არაბები უწოდებდნენ „ალ-*ანდალუსს*“ *უმაიანთა* სახალიფოში შედიოდა. ქვეყნის მუსლიმი მოსახლეობის უმეტეს ნაწილს შეადგენდნენ არაბები და ბერბერები. მუსლიმური ესპანეთის პოლიტიკური ცენტრის ფუნქციას ასრულებდა სევილია, რომელმაც *ვესტგუთების* ტოლედო ჩაანაცვლა. 717 წლიდან კი ქვეყნის დედაქალაქი გახდა კორდოვა. ესპანეთში გაძლიერდა სირიული ელემენტი. მოგვიანებით 749-50- წლებში ვითარება შეიცვალა ესპანეთში და ახლად აღზევებულმა *აბასიანთა* ხალიფამ დაიწყო რეპრესიები *უმაიანთა* წინააღმდეგ. დევნას გადარჩენილი *აბდ* არ-*რაჰმანი*, რომელიც დედით ბერბერი იყო, ახერხებს სირიელებისა და ბერბერების მხარდაჭერით 756 წლის კორდოვას დამოუკიდებელ *უმაიანთა* საამიროს შექმნას და მისი მეთაური ხდება. 929 წელს *აბდ* არ-*რაჰმან* III-მ მიიღო ხალიფას ტიტული, რითაც უზრუნველყო დამოუკიდებლობა ბაღდადის ხალიფებისგან. აქედან მოყოლებული ესპანეთშიც ისლამური სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი ინსტიტუტები და ცხოვრების წესი დაინერგა. შუა საუკუნეების მაღალგანვითარებული ქვეყნის შესაფერისი იყო მუსლიმური ესპანეთის საქალაქო ცხოვრება. დიდი ქალაქებში კორდოვა, სევილია, გრანადა,სარაგოსა,ტოლედო განვითარებული იყო ხელოსნობა,სამშენებლო საქმე. ესპანეთში არაბული, ბერბერული და ადგილობრივი ტრადიციების სინთეზის საფუძველზე შეიქმნა „მავრიტანული სტილი“. მავრიტანული არქიტექტურის შედევრი, სამეფო სასახლე-რეზიდენცია „ალ-*ჰამრა*“ ისლამური ესპანეთის განსახიერებად ითვლება. აღსანიშნავია, რომ კორდოვა მეათე საუკუნეში მთელი ევროპის ერთ-ერთი დიდი და კეთილმოწყობილი ქალაქი გახდა. არაბთა ბატონობის დასაწყისში ისლამი არ ვრცელდებოდა ძალდატანებით, მაგრამ მერვე საუკუნიდან დაიწყო ადგილობრივი მოსახლეობის სწრაფი გამუსლიმების პროცესი. არაბულ ენას და კულტურას ითვისებდნენ ქრისტიანი არაბებიც. ხშირად არაბულ ენაზე ქმნიდნენ ლიტერატურას. *არაბიზირებული* ქრისტიანი ესპანელებისთვის შეიქმნა ბიბლიის არაბული ვერსია. 1008-1031 წლებში ესპანეთში დაიწყო და გაძლიერდა *უმაიანთა* სახალიფოს დაშლის პროცესი. მეთერთმეტე საუკუნეში კი იწყება ესპანელ ქრისტიანთა ბრძოლა ესპანეთის დაბრუნებისათვის, რომელიც რეკონკისტას სახელითაა ცნობილი. 1236 წელს მათ აიღეს კორდოვა, ხოლო 1248 წელს სევილია. ისლამის ერთადერთ ბურჯად რჩებოდა მთელს ესპანეთში გრანადა (*ღარნატა*)-ის გახდა ესპანეთის დიდი ისლამური ცივილიზაციის ცენტრი. 1462 წელს ქრისტიანებმა დაიკავეს გიბრალტარი, 1487-89 წლებში დაეცა მალაგა, 1492 წელს გრანადაც ქრისტიანთა

ხელში გადავიდა. ამ დროიდან მოყოლებული ყველა ესპანელ მუსლიმს უწოდებდნენ *მორისკებს.* გრანადის დაკარგვის შემდეგაც ესპანელ მუსლიმთა ცალკეული თემები დიდხანს ინარჩუნებდნენ თვითმყოფადობას და არ განიცდიდნენ ადგილობრივ მოსახლეობასთან ასიმილაციას.

მუსლიმური ესპანეთის სახელმწიფო ენა იყო არაბული, რომელზეც შეიქმნა მდიდარი სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურა. ანდალუსიური კულტურა და მეცნიერება საერთო ისლამური ცივილიზაციის ნაწილს წარმოადგენს. ამგვარად, დამპყრობლებთან ერთად არაბულმა ლიტერატურამ ესპანეთშიც შეაღწია. განსაკუთრებულია ანდალუსიის არაბული პოეზია, რომლის განვითარებაზეც დადებითად იმოქმედა არაბული სახალიფოს აღმოსავლეთ რეგიონებთან კულტურულმა ურთიერთობამ და ადგილობრივი მოსახლეობის კულტურულმა ტრადიციებმა.

არაბული ლიტერატურის ისტორია ესპანეთში შეიძლება დაიყოს სამ პერიოდად: ანდალუსიური ლიტერატურის ჩამოყალიბების (VIII საუკუნიდან X საუკუნის ბოლომდე); მისი აყვავების (XI - XII საუკუნის მეორე ნახევარი) და დაცემის (XII-XV სს. დასასრული) პერიოდებად. ანდალუსიური ლიტერატურის პირველი პერიოდი მოიცავს დაახლოებით სამას წელს და ძირითადად ემთხვევა კორდოვას კულტურული აყვავების ხანას. ანდალუსიური ლიტერატურის განვითარების პირველ ეტაპზე შეინიშნება კლასიკური არაბული ლიტერატურის დიდი გავლენა, ამიტომაც „მიბაძვის“ ხანას უწოდებენ. კორდოვას ამ პერიოდში მართავდნენ ხალიფები *აბდ არ-რაჰმან* III და *ალჰაქამ* II, რომლებიც დიდ კულტურულ და საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწეოდნენ. ამ პერიოდში დაარსდა სკოლები, კორდოვას უნივერსიტეტი, სამეფო ბიბლიოთეკაში კი გადმოცემის თანახმად, ოთხასი ათასამდე ხელნაწერი ინახებოდა. ეს ხელს უწყობდა მეცნიერების და ლიტერატურის შემდგომ განვითარებას. ანდალუსიური არაბული ლიტერატურის განვითარების პირველ ეტაპზე აღსანიშნავია *უმაიანთა* წარმომადგენლის *აბდ* არ-*რაჰმან* I-ის პოეტური შემოქმედება (755-788 წწ.), ასევე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სპარსელმა *ზირიაბმა* (789-857), რომელიც კორდოვაში ბაღდადიდან ჩავიდა და დაამკვიდრა პოეზიის მუსიკალური თანხლებით შესრულების ტრადიცია. ამავე პერიოდის წარმომადგენელია პოეტი - *იბნ აბდ რაბბიჰი* (860-940), ავტორი ანთოლოგიისა "უნიკალური ყელსაბამი" ("ალ-*იქდ* ალ -*ფარიდი*"), რომელიც შედგება 25 თავისგან. იგი შეიძლება მივაკუთვნოთ *ადაბის* ჟანრის ლიტერატურას. "ყელსაბამი" პოპულარული იყო არა მხოლოდ ანდალუსიაში, არამედ სახალიფოს აღმოსავლეთ რეგიონებშიც. მე-10 საუკუნის ანდალუსიურ პოეზიაში გამორჩეული ფიგურა იყო *იბნ* ჰანი (938-973), ფანატიკოსი შიიტი, რომელიც ამის გამო იძულებული გახდა ჩრდილოეთ აფრიკაში გადასულიყო. *იბნ* ჰანი სამოცამდე *კასიდის* ავტორია. მისი ლექსების თავისებურება პესიმისტური მაქსიმების სიმრავლე და თამამი ჰიპერბოლებია. მას ანდალუსიელი ალ-*მუთანაბი* უწოდეს. პოეტი და პროზაიკოსი *ამირ იბნ შუჰაიდი* (992-1035) ავტორია ტრადიციული პანეგირიკებისა და ასევე პროზაული თხზულებისა "ეპისტოლე სულთა და დემონთა შესახებ". არაბი კრიტიკოსები მიუთითებენ აღნიშნული ნაწარმოების მსგავსებას ალ-*მაარის* „პატიების ეპისტოლესთან.“. *იბნ შუჰაიდი* აღმოსავლური არაბული პოეზიის ტრადიციების მიმდევარი იყო, მან ამპარტავნულად უარყო *მუვაშშაჰი*, როგორც არაბული პოეზიის არატრადიციული ფორმა.

მეთერთმეტე საუკუნეში კორდოვას სახალიფო დაიშალა. მის ნაცვლად ანდალუსიური ლიტერატურის ცენტრებად მოგვევლინა სევილია, *ბადახოსი*, ვალენსია, *ალმერია*, გრანადა და სხვა. აქედან იწყება ანდალუსიური ლიტერატურის განვითარების მომდევნო ეტაპი, რომელიც

განახლების სახელითაა ცნობილი და მეთორმეტე საუკუნის შუა წლებამდე გრძელდება. ანდალუსიური ლიტერატურის განვითარების მეორე ეტაპზე გაბატონებულ ტრადიციულ აღმოსავლურ არაბულ ჟანრებთან ერთად, გარკვეული შემობრუნება შეიმჩნევა ადგილობრივ, ესპანური თემისკენ. ტრადიციები მნიშვნელოვნად იცვლება. *ვასფში* (ანდალუსიური პოეზიის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ჟანრი) პირველად არაბულ პოეზიაში ჩნდება ზღვისა და გემების აღწერა. ანდალუსიურ პოეზიაშიც დიდი ადგილი უჭირავს სატრფიალო ლირიკას. ასევე ღვინისა და ლხინის მოტივი ანდალუსიელი პოეტების ერთ-ერთ საყვარელ თემაა. აღსანიშნავია პოეტის და მეცნიერის *იბნ ჰაზმის* (994-1064) შემოქმედება, საიდანაც ფაქტობრივად, იწყება არაბული ლიტერატურის აყვავება ესპანეთში. *იბნ ჰაზმი უმაიანთა* ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი იყო. დინასტიის დაცემის შემდეგ იგი გადავიდა *ალმერიაში*, სადაც შექმნა თავისებური ანთოლოგია "მტრედის ყელსაბამი". მტრედი აქ სასიყვარულო ვნების სიმბოლოა. არაბულ პროზაში ჩამოყალიბებული ტრადიციის მიხედვით, *იბნ ჰაზმი* პროზაულ ტექსტს ამდიდრებს პოეტური ჩანართებით, რომლებიც მიესადაგება მთავარ თემას. „მტრედის ყელსაბამი“ ეპოქის ფილოსოფიური, მორალური და ფსიქოლოგიური იდეების ამსახველი ძეგლია. ჩვენს თვალწინ ცოცხლდება X-XI საუკუნეების არაბული ესპანეთის ცხოვრება და წეს-ჩვეულებები. ნაწარმოები თავისი აგებულებით *იბნ ჯაჰიზის* პროზას მოგვაგონებს, რომელიც ასევე მდიდარია პოეტური ჩანართებით. ამასთანავე მიუთითებენ აღნიშნულ ნაწარმოებში არაბული მისტიციზმის გავლენაზე. *იბნ ჰაზმის* უმცროსი თანამედროვე იყო გამოჩენილი პოეტი *კორდოვადან იბნ ზაიდუნი* (1003-1071). მისი საუკეთესო ლექსები ეძღვნება სიყვარულს. განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა ლექსმა "*ნუნია*" (*ნუნზე* გარითმული ლექსი). *იბნ ზაიდუნი* აღმოსავლური არაბული პოეზიის ძლიერ გავლენას განიცდიდა და იგი ჰბაძავდა განსაკუთრებით ალ-*ბუხტურის.* სიახლეებით გამოირჩევა მისი *ვასფი*, სადაც პოეტი აღფრთოვანებით აღწერს კორდოვას სილამაზეს და საერთოდ ანდალუსიის ბუნებას. ამ პერიოდში პოპულარული იყო ესპანეთში სევილიის მმართველის ალ-*მუტამიდის* (1040-1095) პოეზია. ალ-*მუტამიდის* კარზე მოღვაწეობდა პოეტი და მომღერალი სიცილიელი *იბნ ჰამდისი* (1055-1132). მუსლიმური ესპანეთის ისტორიაში ცნობილია, რომ ალ-*ანდალუსი* ყოველთვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული კულტურული ურთიერთობებით არაბულ მაღრიბთან. ესპანეთთან და არაბულ მაღრიბთან მჭიდრო კულტურული ურთიერთობა ჰქონდა სიცილიას, რის გამოც ხშირად ამ კუნძულს ანდალუსიის „ლიტერატურულ პროვინციას“ უწოდებენ. *იბნ ჰამდისი*, რომელიც იყო ალ-*მუტამიდის* ერთ-ერთი თანამოაზრე, იძულებული გახდა დაეტოვებინა ესპანეთი 1078 წელს. სიცოცხლის ბოლო წლები მან გაატარა კუნძულ *მაიორკაზე. იბნ ჰამდისი* იყო ესპანური ბუნების მომღერალი.იგი ავტორია ასევე ასკეტურ ფილოსოფიური ხასიათის თხზულებებისა(*ზუჰდიათი*). ამ პერიოდის ანდალუსიური პოეზიის გამორჩეული წარმომადგენელია *იბნ ხაფაჯა* (1058-1138),მეტსახელად "ალ-*ჯანან*"("მებაღე"). ესპანეთის ერთ-ერთი ულამაზესი რეგიონის, მისი მშობლიური ვალენსიის ბუნება პოეტისთვის შთაგონების ამოუწურავი წყარო იყო.

XII საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება ანდალუსიური არაბული ლიტერატურის თანდათანობით დაცემის პროცესი. *ალმორავიდების* და *ალმოჰადების* შეჭრა ესპანეთში იწვევს არაბული სამთავროების მიერ პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვას. *მოზარაბები* (ქრისტიანები, რომლებიც არაბულად საუბრობენ) განდევნილები არიან ანდალუსიიდან. ფანატიკოსი ბერბერები ანადგურებენ შესანიშნავ არქიტექტურულ ნაგებობებს და წვავენ „ერეტიკულ“ წიგნებს. ბერბერთა დაპყრობებმა ესპანეთში გამოიწვია იმ გარემოს გაქრობა, რომელშიც ადრე ანდალუსიური პოეზია განვითარდა. დახვეწილი არაბულ-

ესპანური პოეზია ძნელად გასაგები შეიქმნა მუსლიმი ესპანელებისათვის. ამიტომ XI საუკუნის ბოლოსა და XII საუკუნის დასაწყისში პოპულარული ხდება სტროფული პოეზიის დიალექტური ფორმა- *ზაჯალი.* რომელიც განვითარების მაღალ დონეს აღწევს მოხეტიალე პოეტისა და მუსიკოსის *იბნ კუზმანის* (1080-1160 წწ.) შემოქმედებაში. პოეტი ღიად გამოხატავდა თავის ცინიკურ დამოკიდებულებას ისლამისადმი, რის გამოც დასაჯეს კიდეც. ასევე უარყოფითი იყო მისი დამოკიდებულება *უზრიული* ტრადიციული არაბული პოეზიის მიმართ. მისი *ზაჯალები* ორი ნაწილისაგან შედგება: შესავალი ანუ პირველი ნაწილი ეროტიკული სიყვარულის ღიად გამოხატვას ემღვნება, ხოლო მეორე ნაწილი პანეგირიკული ხასიათისაა, რომელსაც მოსდევს პოეტის უხვად დასაჩუქრების თხოვნა. მის *ზაჯალებში* აშკარად ვლინდება კავშირი პროვანსელ ტრუბადურთა პოეზიასთან. ძნელია ტრუბადურთა შემოქმედებაზე ანდალუსიური პოეზიის გავლენის მასშტაბის დადგენა, მაგრამ თავად ამ გავლენის ფაქტი ეჭვგარეშეა. მუსლიმურ ესპანეთში ჯერ კიდევ არაბთა გამოჩენამდე ცხოვრობდნენ ებრაელები, რომელთაც ისევე განიცადეს არაბიზაცია, როგორც ადგილობრივმა ესპანელმა ქრისტიანებმა. მაგალითად, პოეტი მოშე *ბენ* ეზრა (1055-1135), რომელიც წერდა ებრაულ და არაბულ ენებზე. დაცემის პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პოეტი იყო იბრაჰიმ *იბნ საჰლი* (1208-1251), სევილიელი ებრაელი, რომელმაც ისლამი მიიღო სიცოცხლის ბოლოს. იგი ანდალუსიური სატრფიალო ლირიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. მუსლიმურ ესპანეთში ფილოსოფიის განვითარებას ჩაუყარეს საფუძველი *იბნ ბაჯჯამ* (*გარდ.* 1139), *იბნ ტუფაილმა* (*გარდ.* 1185). ცნობილმა ანდალუსიელმა ექიმმა და ფილოსოფოსმა *იბნ* რუშდიმ (ლათინურად - *ავეროესი*, 1126-1198). იგი ცნობილია როგორც არისტოტელეს დიდი კომენტატორი, მისი მთავარი ფილოსოფიური ნაშრომია პოლემიკური ხასიათის „*თაჰაფუთ* ათ-*თაჰაფუთ*“.

ანდალუსიური ფილოსოფიური ლიტერატურის განვითარებაში განსაკუთრებულია ფილოსოფოსისა და მეცნიერის *იბნ ტუფაილის* როლი (დაიბადა 1185 წ.). მისი ფილოსოფიური ნაწარმოები „ *ჰაია* ალ *იაკზან*“ თავისი შინაარსით ორიგინალური რომანი-იგავია, რომელიც მოგვითხრობს ადამიანის გონების სიდიადეზე, სრულყოფილი ადამიანის ჩამოყალიბების და უმაღლესი ჭეშმარიტების შეცნობის გზებზე. ეს არის რაციონალიზმისა და მისტიციზმის ნაზავი, რომელიც ჩამოყალიბდა შუა საუკუნეების არაბულ აზროვნებაში ძველი ბერძნული ფილოსოფიისა და აღმოსავლური მისტიციზმის გავლენით. გადმოცემის მხატვრული ფორმა განაპირობებს, რომ ნაწარმოები აღიარებულია ანდალუსიური ლიტერატურის შედევრად. ანდალუსიის უკანასკნელი გამოჩენილი მწერალი და პოეტი იყო ისტორიკოსი *ლისან ად-დინ იბნ* ალ-*ხატიბი* (1313-1374), გრანადის ემირების ვეზირი. *ლისან ად-დინს* ეკუთვნის მრავალი ისტორიული ნაწარმოები, ეპისტოლეები. განსაკუთრებით პოპულარული იყო მისი *მუვაშშაჰები.* საყოველთაოდ ცნობილია *იბნ* ალ-*ხატიბის* ელეგია, რომელიც დაწერილია სიკვდილის მოლოდინში და ასახავს მოსალოდნელი განწირულობისა და უიმედობის განცდას, რომელიც გრანადის მუსლიმურ მოსახლეობას ესპანელების საბოლოო გამარჯვებამდე დიდი ხნით ადრე დაეუფლა. *იბნ* ალ-*ხატიბის* პროზაული სტილი დამახასიათებელი იყო დაცემის პერიოდის ანდალუსიური ლიტერატურისათვის ანდალუსიური ლიტერატურა უდავოდ წარმოადგენს ერთ-ერთ ბრწყინვალე ფურცელს შუა საუკუნეების არაბული კულტურის ისტორიაში. რელიგიური ანტაგონიზმი და პოლიტიკური დაპირისპირება ხელს უშლიდა ევროპელებს ისლამური ცივილიზაციის ობიექტურ შეფასებაში, მაგრამ ისლამური ესპანეთის მიღწევები იმდენად დიდი იყო, რომ მისი არ აღიარება და გაუთვალისწინებლობა შეუძლებელიც იყო. უკვე მეცამეტე საუკუნეში არაბული

სამეცნიერო და ფილოსოფიური ლიტერატურის ინტენსიურად თარგმნა მიმდინარეობდა. ამ პროცესმა ევროპელთათვის ხელმისაწვდომი გახადა არაბული ანდალუსიური ლიტერატურის მიღწევების გაცნობა. ამრიგად, შუა საუკუნეების არაბული კულტურისა და ლიტერატურის ცენტრები სირიის, ერაყისა და ეგვიპტის მსგავსად შეიქმნა ესპანეთშიც. ეს უკავშირდება არაბთა ექსპანსიას, რომელიც თითქმის რვა საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა. არაბებმა ბერბერებთან, ასევე *არაბიზირებულ* ადგილობრივ *ვესტგოთებთან* ერთად შეძლეს ანდალუსიაში არაბული ენის და ლიტერატურის გავრცელება. არაბული კულტურის ცენტრებად ანდალუსიაში (არაბულ ესპანეთში) იქცა კორდოვა, გრანადა, *ალმერია*, ვალენსია და სხვ. მერვე მეათე საუკუნეების ანდალუსიის ლიტერატურაში ძირითადია კლასიკური ტენდენციები, მეთერთმეტე საუკუნიდან კი ორიგინალური თემატიკა და პოეტური სახეები დამკვიდრდა. მნიშვნელოვანი მოვლენა იყო სტროფული პოეზიის ორიგინალური ფორმების *მუვაშშაჰისა* და *ზაჯალის* გაჩენა. მის შექმნაში რომანული კულტურული ელემენტების მონაწილეობას ვარაუდობენ. თავის მხრივ, მან ადრეული პროვანსული პოეზიის განვითარებაზე მოახდინა გავლენა. მეთორმეტე საუკუნიდან არაბულ ლიტერატურაში მნიშვნელოვანია ფილოსოფიური, კერძოდ, სუფიური მიმართულება, რომლის გამოჩენილი წარმომადგენელია ანდალუსიელი პოეტი და ფილოსოფოსი *იბნ* ალ-არაბი. მან განავითარა სუფიური სიმბოლიზმი.

ლიტერატურა:

1. კილაძე ნ., ალ ღაზალი და მისი „თაჰაფუთ ალ-ფალასიფა“, თბილისი,1970.
2. საბაშვილი მ., არაბული კულტურის ძირითადი თავისებურებანი, აღმოსავლური კულტურა, თბილისი, 1980, გვ.28-53.
3. ტიკაძე მ., არაბთა ისტორია (V-XV სს.), თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომც., 2008.
4. ფურცელაძე ნ., არაბული ლიტერატურა ნარკვევები, ნიმუშები. თბილისი, 2020. 218-220.
5. Hitti,ph.k. history of the arabs,tenth edition, l.,1974
6. Kennedy, hugh. Muslim Spain and Portugal. L.,N.Y. 1996
7. Latham J.D.., From Muslim Spain to Barbary: Studies in the History and Culture of the Muslim West., L., 1986.
8. Бернард, Луис, Ислам и запад пер. с английскю, М . 2003.
9. Филъштинский И.М. Арабская классическая литература, М.1965.

Leila Kvelidze
Akaki Tsereteli State university
Kutaisi, Georgia

Stages of development of Arabic (Andalusian literature) literature in Spain

Abstract

Centers of Arabic culture and literature of the Middle Ages were established in Spain. This is related to the Arab expansion in the Iberian Peninsula, which lasted for almost eight centuries. During this time, the Arabs together with the Berbers, as well as the Arabized local Visigoths, were able to spread the Arabic language and literature in Andalusia. In Spain, centers of Arab culture and literature of the Middle Ages were created.

From the eighth century, when the Arabs settled in Spain, the area of Arab culture expanded. Cordova, Granada, Almeria, Valencia and others became its centers in Andalusia (Arabic Spain). In Andalusian literature of the 8th-10th centuries. classical currents prevailed, in which the new style invaded. Prominent representatives of the poetry of this era are Al-Ghazali, Ibn Abd Rabihi, Ibn Hani, Ibn Daraj, Ibn Hazmi. In the Andalusian literature of the eleventh century, local color, original themes and poetic types were established. The rise of Andalusian poetry was soon followed by a decline. Ibn Zaydun, Ibn Abdun, Ibn Hafaja worked in this era. An important event was the emergence of the original forms of strophic poetry, Muvashshahi and Zajal. From Andalusia it spread to all Arab countries. In turn, he influenced the development of early Provençal poetry. Ibn Kuzman is the greatest representative of the Zajal genre. Ibn Hazm, the author of the seminal treatise "The Dove's Necklace", stands out in prose. It is worth noting the mystic Ibn Tufail, the author of the allegorical philosophical story "Hay Ibn Yaqzan". Since the twelfth century, the Sufi direction has been important in Arab culture, whose outstanding representative is the Andalusian poet and philosopher Ibn al-Arab. He developed Sufi symbolism. Thus, three periods of the development of Arabic literature in Spain are distinguished. The earliest samples of Andalusian literature date from the second half of the eighth century. Thus, the most common genre of poetry is vasfi. It was in the Andalusian literature that strophic poetry - muwashshahi was formed in the ninth century.